ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2821738

ნომერი: AR1437048

თარიღი : 02.09.2016

გაცემის თარიღი : 09.09.2016

გაცნობის თარიღი : 14.09.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გალაქტიონის ძეგლის მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი , სტუდქალაქის ტერიტორიაზე , სპორტული კომპლექსი "ფეხბურთი ბავშვებს" მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 37-სა , და სავაჭრო ობიექტებს შორის/ ქალაქი თბილისი , ი. ჭავჭავაძის გამზირზე, გალაქტიონ ტაბიძის ძეგლის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თეიმურაზ ჭოხონელიძე პ/ნ 01007000662
- თბილისი აკ.წერეთლის გამზ. N 55 კორ. 2 ბ. 16

ორგანიზაცია:
- სს აქსის თაუერსი კოდი: 405077704

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 09.11.2015 წ. №2287762 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 02/09/2016 წ. # AR1437048 განცხადებით მომართა თეიმურაზ ჭოხონელიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 09.11.2015 წ. №2287762 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 09.11.2015 წ. №2287762 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სტუდქალაქის ტერიტორიაზე , სპორტული კომპლექსი "ფეხბურთი ბავშვებს" მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 37-სა , და სავაჭრო ობიექტებს შორის/ ქალაქი თბილისი , ი. ჭავჭავაძის გამზირზე, გალაქტიონ ტაბიძის ქუჩის მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი, გალაქტიონის ქუჩის მიმდებარედ, სააქციო საზოგადოება აქსის თაუერსი-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.14.14.003.169), მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 09.11.2015 წლიდან 09.11.2017 წლის ჩათვლით.

განმცხადებლების განმარტებით, 09.11.2015 წ. №2287762 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლები, კერძოდ, საცხოვრებელი ფართობი უნდა იყოს (კვ.მ).: 13975.6; საოფისე ფართობი (კვ.მ).: 18519.3; კომერციული ფართობი (კვ.მ).: 12350.4; საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 5028.7; კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 11052.2; დამხმარე ფართობი (კვ.მ).:1387.2; აუზის ფართობი (კვ.მ).: 1899.6; სასტუმროს ნომრების ფართობი (კვ.მ): 8280.6 და საერთო ფართობი (კვ.მ).: 89491.3. შესაბამისად, განმცხადებელი ითხოვს მითითებულ ბრძანებაში ხარვეზის გასწორებას მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

სამსახურმა შეადარა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს და დაადგინა, რომ გასწორებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეესაბამება შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, დამკვეთის მიერ ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების მითითების დროს დაშვებული იქნა შეცდომა, რაც შესაბამისად აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია გაასწოროს ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში დაშვებული ტექნიკური შეცდომა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 09.11.2015 წ. №2287762 ბრძანებაში და საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს (კვ.მ).: 13975.6; საოფისე ფართობად დაფიქსირდეს (კვ.მ).: 18519.3; კომერციულ ფართობად დაფიქსირდეს (კვ.მ).: 12350.4; საზაფხულო ფართობად დაფიქსირდეს (კვ.მ).: 5028.7; კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად დაფიქსირდეს (კვ.მ).: 11052.2; დამხმარე ფართობად დაფიქსირდეს (კვ.მ).:1387.2; აუზის ფართობად დაფიქსირდეს (კვ.მ).: 1899.6; სასტუმროს ნომრების ფართობად დაფიქსირდეს (კვ.მ): 8280.6 და საერთო ფართობად დაფიქსირდეს (კვ.მ).: 89491.3
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 09.11.2015 წ. №2287762 ბრძანებასთან ერთად.

3. ბრძანება შესაძლებელია გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში.